აღნიშნული არქიტექტურული პროექტის კორექტირების თაობაზე განცხადება ერთხელ უკვე წარმოვადგინეთ არქიტექტურის სამსახურში განცხადების ნომრით:NAR1619128 და თარიღით: 27/07/2018 .

აღნიშნულ განცხადებას არქიტექტურის სამსახურიმა გამოგვიგზავნა შუალედური გადაწყვეტილება ნომრით: 4108876. აღნიშნული გადაწყვეტილება იხილეთ მიმაგრებულ ფაილში. ამ გადაწყვეტილების ფარგლებში დაგვიდგინდა ხარვეზები რომელთაგან ერთ-ერთი არის : ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემოწმების აქტი და ჯარიმის გადახდის ქვითარი.

აღნიშნული დაკუმენტების წარმოდგენა ვერ მოვახერხეთ განსაზღვრულ დროში, შესაბამისად ვტვირთავთ ახალ განცხადებას სადაც წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია AR1619128- განცხადებით დადგენილი ხარვეზები და ასევე წარმოგიდგენთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემოწმების აქტს და ჯარიმის გადახდის ქვითარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 4108876

გაცემის თარიღი: 07/08/2018 გაცნობის თარიღი: 20/08/2018

განცხადების ნომერი: AR1619128
შემოსვლის თარიღი: 27/07/2018
შედეგი: **განუხილველი**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.199
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 6ე
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 7890.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ბიზნეს სტარი" (200113705)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ნიკოლოზ ჭაბაშვილი პ/ნ 01010006255
- მისამართი: ნუცუბიძის პლატო 2მ/რ 3კვარტალი კორპ.8 ბ.21

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 83079
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.03.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გრგ-ს მიხედვით II კვარტლის XII კორპუსი, ბლოკი ა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე ზვიადაური

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ჭაბაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010006255

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 7890.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 639.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5734.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3587.2
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 464.3
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 829.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 380.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 473.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 20171.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 18503.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1667.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 37.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 34.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 537.9კვ.მ/7890კვ.მ=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4841.1კვ.მ/7890კვ.მ=0.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 532.5კვ.მ/7890კვ.მ=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2754149
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 8.02.2016

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2812025
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.07.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

.მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.:

ამოღებულ იქნას მოთხოვნა მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხდება მხოლოდ პროექტის შეთანხმება

ვინაიდან მშენებლობა დარღვევითაა ნაწარმოები, საჭიროა წარმოადგინოთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემოწმების აქტი და ჯარიმის გადახდის ქვითარი.

.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:

წარმოადგინეთ განახლებული დღეის მდგომარეობის ფოტოსურათები ერთიანი ხედებით როგორც ახლო ასევე შორი ხედებით

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :

ანგარიშში შესაყვანია კროკებში დაფიქსირებული +34,40 ნიშნულზე მდებარე 3-4 ღერძებში არსებული სივრცე

.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :

წარმოდგენილი არ არის პროექტის შესაბამისი.

განაახლეთ პროექტის ცვლილებებისამებრ

.შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები. ->

წარმოადგინეთ კორექტირებული პროექტისთვის

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლეთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სს „ხალიკ ბანკი საქართველო"

საგადახდო დავალება № 2 31 ოქტომბერი 2018

გადამხდელი შპს ბიზნეს სტარი

თანხა	
	15000-00
	GEL
თანხა სიტყვიერად	
თხუთმეტიათასი ლარი	
და 00 თეთრი	

საიდენტ. ნომერი 200113705 გადამხდელის ანგარიში GE44HB0000000001373605

გადამხდელის ბანკი ბანკის კოდი HABGGE22

სს ხალიკ ბანკი საქართველო,

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება შპს ბიზნეს სტარი,

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი 200113705

მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში

საიდენტ.ნომერი მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,

გადახდის დანიშნულება: სამშენებლო სამართალდარღვევის საფასური, დადგენილების N 000017

დამატებითი ინფორმაცია:

კლიენტის ხელმოწერები:

ბანკის აღნიშვნები

შემოსვლის თარიღი 31 ოქტომბერი 2018

გატარების თარიღი 31-10-2018

ხელმოწერა



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ბ 1822-18

„19" 10 2018 წ.

დადგენილება №000017
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

19.10.2018წ.

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 18 ოქტომბრის №000017 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №200113705, დირ. გელა აბრამიშვილი, პირადი №01003015796), მის: ქ. თბილისი, მუხიანის III მ/რ, კორპ. №8, ბ. №15) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6ე, საკ. კოდი №01.10.06.001.199-ში შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, II კვარტლის XII კორპუსის "ა" ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2754149 AR1422815 02.08.2016წ. №2812025 AR1436145 07.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის ვიზუალი და გაბარიტი. ფასადებზე დამატებულია გათბობა-კონდიცირების დანადგარები, სანათები, სატელიტური ანტენები და ლითონის მილკვადრატები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი. „1-6" ფასადი: „5-6" მონკავეთში მონაცვლებულია მეტალის ცხაურები. „6-1" ფასადი: „3-2" მონაკვეთში მონაცვლებულია მეტალის ცხაურები. „დ-ა" ფასადი: ფასადი შესაღებია. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები არ არის განსხვავებულად აღნიშნული პროექტში. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა. გაზრდილია -3.10 ნიშნულზე ჩასასვლელი პანდუსის და კედლების გაბარიტი, ამავე ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან გაუქმებულია კედელი. დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2018 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000017 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/0118243671-17 31.08.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ქ. თბილისი 0160, ყ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6ე, საკ. კოდი №01.10.06.001.199-ში შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, II კვარტლის XII კორპუსის "ა" ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2754149 AR1422815 02.08.2016წ. №2812025 AR1436145 07.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ბიზნეს სტარი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მ. ჯაყელი

№000017 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

დარღვევები:

ფასადი: ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის ვიზუალი და გაბარიტი. ფასადებზე დამატებულია გათბობა-კონდიცირების დანადგარები, სანათები, სატელიტური ანტენები და ლითონის მილკვადრატები. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი.

„1-6" ფასადი : „5-6" მონკავეთში მონაცვლებულია მეტალის ცხაურები.

„6-1" ფასადი : „3-2" მონაკვეთში მონაცვლებულია მეტალის ცხაურები.

„დ-ა" ფასადი : ფასადი შესაღებია.

ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები არ არის განსხვავებულად აღნიშნული პროექტში. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა. გაზრდილია -3.10 ნიშნულზე ჩასასვლელი პანდუსის და კედლების გაბარიტი, ამავე ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან გაუქმებულია კედელი.

დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

წამყვანი სპეციალისტი _____ / თ.ხიჯაკაძე

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____